საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №206

2019 წ. "19" 11

ქ.თბილისი

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „განათლების მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ თუ აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან" და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

თავმჯდომარე

მდივანი

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2019 წლის 17 ივნისს შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა №0191/01/16456 (ცენტრში რეგისტრაციის №772679) სააკრედიტაციო განაცხადი „განათლების მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 05 ივლისის №574 ბრძანების საფუძველზე, შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 03 სექტემბრის №784 ბრძანებით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2019 წლის 18 სექტემბერს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში, ხოლო 2019 წლის 15 ნოემბერს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თავმჯდომარე

მდივანი

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2019 წლის 19 ნოემბერს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

2.5. საბჭომ ზეპირი მოსმენისას აკრედიტაციის მაძიებლის არგუმენტირებული პოზიციის მოსმენის შედეგად არ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შემდეგი რეკომენდაციები:

ა) „სასურველია მისწრაფება უფრო მაღალი ცნობიერებისა და წყაროების (წიგნები და ჟურნალები) ფართო სპექტრზე წვდომისკენ, რათა სტუდენტები სრულად აღჭურვილნი იყვნენ მკვლევარის საქმიანობის შესასრულებლად საერთაშორისო განათლების კონტექსტში. ემპირიული ჟურნალების გამოყენების მნიშვნელობას ხაზი უნდა გაესვას ხელმძღვანელობის პროცესში. პროგრამის გუნდმა შეაფასა სხვადასხვა სადოქტორო პროგრამა სხვა ქვეყნებში და მოიძია საერთაშორისო ექსპერტების ნაშრომები. მსგავსი სამუშაო მუდმივ რეჟიმში უნდა გაგრძელდეს და მოიცვას სტუდენტები, ასევე სხვა სადოქტორო პროგრამებისთვის სტუდენტების მიერ დაწერილი დისერტაციების განხილვისა და შედარების შესაძლებლობები“;

ბ) „სტუდენტების უფრო მეტად ინფორმირება ჟურნალის, როგორც სადისერტაციო ნაშრომის წყაროს შესახებ, რათა მათ უფრო ნათლად იცოდნენ, თუ როგორი წვლილი შეაქვს მათ კვლევებს განათლების სფეროში ცოდნის დაგროვებაში.“

საბჭომ, საქმის მასალების შესწავლისა და აკრედიტაციის მაძიებლის არგუმენტირებული პოზიციის მოსმენის შედეგად დაადგინა, რომ „სადოქტორო დისერტაციის“ სილაბუსი ითვალისწინებს დოქტორანტების მიერ დისერტაციაში 100-ზე მეტი წყაროს გამოყენებას, რომელთა შორის დისერტაციებსა და წიგნებთან ერთად კვლევითი სტატიებიც არის გათვალისწინებული, კერძოდ სილაბუსში აღნიშნულია, რომ: „დისერტაციის თემის შესაბამისად 100-ზე მეტი წყარო (კვლევითი სტატიები, დისერტაციები, წიგნები). მათი უმეტესობა უნდა იყოს საკმაოდ თანამედროვე. დოქტორანტებმა თავი უნდა აარიდონ ელექტრონულ წყაროებს, გარდა ისეთი საიმედო საიტებისა, როგორიცაა, მაგალითად, UNESCO-ს და განათლების სამინისტროს საიტები“.

3. სარეზოლუციო ნაწილი

“უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

თავმჯდომარე

მდივანი

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის 2019 წლის 17 ივნისის №0191/01/16456 (ცენტრში რეგისტრაციის №772679) სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „განათლების მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას საბჭოს 2019 წლის 19 ნოემბრის №59 სხდომის ოქმის №03 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. საბჭომ გაიზიარა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) განაგრძოს მუშაობა პროგრამის გუნდმა პროგრამის ამოცანებს, პროგრამის შედეგებსა და მოდულის სწავლის შედეგებს შორის ოპტიმალური შესაბამისობის მისაღწევად, გაითვალისწინოს რა ის კვლევითი არჩევანი, რომელსაც სტუდენტებს სთავაზობს (ინგლისური ენის სწავლება და განათლების ადმინისტრირება);

ბ) გადაიხედოს პროგრამის გუნდის მიერ, თუ რა დონეზე შეუძლია ასეთ პროგრამას დამაკმაყოფილებლად მისცეს სხვადასხვა აკადემიურ დისციპლინაში მაგისტრის ხარისხის მფლობელ სტუდენტებს შესაძლებლობა განათლების სფეროში მიაღწიონ დოქტორანტურის დონის შედეგებს. მან ასევე უნდა გააღრმავოს პროგრამის ამოცანები განათლების აკადემიურ სფეროში დისციპლინის ცოდნის სრულყოფისა და საგანმანათლებლო კვლევის მეთოდების გამოყენების კუთხით;

გ) განვითარდეს სასწავლო კომპონენტი კიდევ უფრო ისე, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ მაღალ დონეზე საგანმანათლებლო კვლევის ჩატარების ცოდნა და უნარები. ამით კვლევის პარადიგმების, ეპისტემოლოგიური საკითხების, ფილოსოფიური საფუძვლების, აქსიოლოგიის და ეთიკის, ასევე კვლევის ფართო სპექტრის მეთოდების (რაოდენობრივი, თვისებრივი და შერეული) ტექნიკური ასპექტების კიდევ უფრო მაღალ დონეზე დამუშავება იქნება შესაძლებელი, რაც ხელს შეუწყობს მაღალი სირთულის კვლევით ექსპერტიზას და ლიდერულ თვისებებს, რის დანერგვასაც ცდილობს პროგრამა. მიღებული სტუდენტების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, აკადემიური წერის გაძლიერებულად უზრუნველყოფა რეკომენდებულია;

დ) კიდევ უფრო განავითაროს პროგრამის გუნდმა პარტნიორობა როგორც საქართველოში არსებულ პარტნიორებთან, ასევე საზღვარგარეთ, მათ შორის პარტნიორობა ეროვნულ სააგენტოებთან, რომლებიც ჩართული არიან მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაში. მართალია, პროგრამის გუნდს უკვე ნაკისრი აქვს მონიტორინგისა და განხილვის მთელი რიგი საქმიანობები. თუმცა, ზოგადი თვალსაზრისით, დამატებითი სამუშაოს განხორციელებაა საჭირო პროგრამის სასარგებლოდ, თითოეული მსგავსი ტიპის სამუშაოს შედეგების სრულად გამოსაყენებლად და დანერგვის უზრუნველყოფისთვის;

ე) გაგრძელდეს ბენჩმარკინგის პროცესი შეტანილი ექვსი პროგრამით, რათა დამატებით გამოვლინდეს თუ რისი სწავლა და პრაქტიკაში დანერგვაა შესაძლებელი. უნდა აღირიცხოს თუ როგორ მიაღწია ბენჩმარკინგის პროცესმა პროგრამის გაუმჯობესებას. იმავე ტენდენციით, პროგრამის გუნდმა უფრო დეტალურად უნდა შეისწავლოს უცხოურ უნივერსიტეტებში მოქმედი მსგავსი პროგრამები, გამოავლინოს რა, თუ რამდენად შეესატყვისება და შეედრება შეთავაზებული სადოქტორო პროგრამა და სტუდენტის მიერ შესრულებული სადისერტაციო ნაშრომი.

თავმჯდომარე

მდივანი

5. ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 6 თვე (2020 წლის 28 მაისამდე).

6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მისი ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღეს (2019 წლის 27 ნოემბერი).

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საბჭოს თავმჯდომარე ქეთევან ქოქრაშვილი

სხდომის მდივანი სალომე თოთიბაძე

დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	განათლების მეცნიერებები
2	სტატუსი[2]	აკრედიტებული
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 01 თებერვალი,№16
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3]	განათლების მეცნიერებები
5	უმაღლესი განათლების საფეხური[4]	დოქტორანტურა
6	კვალიფიკაციის დონე[5]	მერვე
7	კვალიფიკაციის დასახელება	განათლების მეცნიერებების დოქტორი Doctor of Education Sciences
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6]	"----"
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0111 განათლების მეცნიერება
10	კვალიფიკაციის კოდი[7]	0301
11	სწავლების ენა	ინგლისური
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
13	განხორციელების ადგილი[8]	საქართველო 0131, ქ. თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი 13კმ, №2
14	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2019 წლის 27 ნოემბერი
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[9]	ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა - 6 თვემდე (2020 წლის 28 მაისამდე)
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2026 წლის 27 ნოემბერი

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[6] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[7] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[8] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[9] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

თავმჯდომარე

მდივანი